სიტყვების მწკრივი

მოსწავლეები იმახსოვრებენ მწკრივად დაწყობილი სიტყვების თანამიმდევრობას და ასახელებენ მათ.

კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: მცირე ჯგუფები ან მთელი კლასი.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს სიტყვის ბარათებს და სამ, ოთხ ან ხუთ ბარათს დააწყობს მაგიდაზე ან გააკრავს დაფაზე მწკრივში.
- მოსწავლეები აკვირდებიან ბარათებს და ასახელებენ თითოეულ სიტყვას მარცხნიდან მარჯვნივ.
- ყველა სიტყვის დასახელების შემდეგ მოსწავლეები დახუჭავენ თვალებს, ამ დროს კი მასწავლებელი ბარათების თანმიმდევრობას გადაანაცვლებს.
- თვალის გახელის შემდეგ მოსწავლეები წარმოთქვამენ ბარათებზე დაწერილ სიტყვებს იმავე პრინციპით. შემდეგ კი ცდილობენ, დააწყონ ბარათები პირვანდელი თანამიმდევრობით.
- შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი ცვლის ამოცანას, ბარათების მწკრივს მოაკლებს ან დაუმატებს ერთ ბარათს. მოსწავლეები ცდილობენ, გამოიცნონ და დაასახელონ ამოღებული/დამატებული ბარათი.